საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/264 „ 8 „ ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 27^4 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება განხორციელდეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი